კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტი აცხადებს მიღებას პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

პროგრამაზე ჩარიცხვის უფლება აქვს მაგისტრს ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს.

გასაუბრების დროს კონკურსანტს მოეთხოვება ზოგადი წარმოდგენა ჰქონდეს თანამედროვე პოლიტიკურ პროცესებსა და ქვეყნის რეალობაში არსებულ პოლიტიკურ პრობლემებზე. გარდა ამისა, კონკურსანტი ვალდებულია მიმღებ კომისიას წარუდგინოს სამოტივაციო წერილი, რომელშიც დასაბუთებული იქნება მისთვის საინტერესო საკვლევი თემის აქტუალობა და მნიშვნელობა.

თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭება კანდიდატს, რომელსაც აქვს სამაგისტრო განათლება სოციალური მეცნიერებების მიმართულებით, პოლიტიკის მეცნიერების ან საერთაშორისო ურთიერთობების სპეციალობით. თანაბარ პირობებში უპირატესობა მიენიჭება იმ კანდიდატსაც, რომელსაც არა აქვს შესაბამისი სამაგისტრო განათლება, მაგრამ აქვს პრაქტიკული მუშაობის გამოცდილება ან შრომები ზემოჩამოთვლილ მიმართულებასა თუ სპეციალობებში.

პოლიტიკის მეცნიერების სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის კანდიდატს მოეთხოვება **ინგლისური ენის B2 დონეზე** ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი. სერტიფიკატის წარდგენისგან თავისუფლდება პირი, რომელსაც საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამა გავლილი აქვს ინგლისურ ენაზე. პირი, რომელიც ვერ წარმოადგენს ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელ სერტიფიკატს, ვალდებულია ინგლისურში გამოცდა ჩააბაროს უნივერსიტეტის ენების ცენტრში.

რეგისტრაციის დროს წარმოსადგენია შემდეგი საბუთები:

- კონკურსანტის ავტობიოგრაფია (მონაცემები განათლებისა და შრომითი საქმიანობის შესახებ), „CV“;
- მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომისა და დანართის ასლი.
- სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ გაცემული დიპლომის ნამდვილობის დოკუმენტი;
- პირადობის დამადასტურებელი მოწმობის (პასპორტის) ასლი;
- ფოტოსურათი, ზომით 3X4 (სმ);
- მიწერის მოწმობის ან სამხედრო ბილეთის ასლი (სამხედრო ვალდებულისათვის);
- ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი სერთიფიკატი.
- სამოტივაციო წერილი, რომელიც მოიცავს კანდიდატისთვის საინტერესო საკვლევი თემის აქტუალობისა და მნიშვნელობის დასაბუთებას;
- დარგის სპეციალისტის ორი რეკომენდაცია.

საბუთების მიღება იწარმოებს 26 ივნისიდან 19 სექტემბრის ჩათვლით, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტში, მე-5 სართულზე, 513-ე ოთახში. გასაუბრება ჩატარდება 21-22 სექტემბერს.